სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/220

ქ. თბილისი 31 ივლისი 2019

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლისა და 2019 წლის 31 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი

მუხლი1. პროფესიული მასწავლებლისსამსახურში აყვანა

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებს წარმართავს ამ წესის თანახმად სამსახურში აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებელი (შემდგომში მასწავლებელი).
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპებზე, როდესაც ხდება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსების მოძიება, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევა სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლების შერჩევა.
3. თითოეული მასწავლებლის შერჩევა ხდება შესაბამისი კოლეჯის/ინსტიტუტის/აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და პროგრამის დროებითი ხელმძღვანელის მიერ. შერჩევისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას, კომპეტენციებს და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან.
4. კოლეჯის/ინსტიტუტის/აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი მოხსენებითი ბარათით მიმართავს ფაკულტეტის დეკანსშერჩეულ პირთან წინარე ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მოხსენებით ბარათსთან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:
   - ☐ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დედანი და ასლი;
   - ☐ მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV);
   - ☐ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ასლი;
   - ☐ შრომების სია (არსებობის შემთხვევაში);
   - ☐ კოლეჯის/ინსტიტუტის/აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებული(დეკანატის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით) სხდომის ოქმის ამონაწერი საჩვენებელი მეცადინეობის ჩატარებისა და წინარე ხელშეკრულების გაფორმებაზე რეკომენდაციის მიცემის შესახებ. საჩვენებელი მეცადინეობა უნდა ჩატარდეს პროგრამის ენაზე და მოხდეს აუდიო-ვიდეო ჩაწერა.
   - ☐ სამხედრო აღრიცხვის დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედროვალდებულთათვის);
   - ☐ 2 ფოტოსურათი (3X4).
5. „მონაცემებში განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ“ სხვა მონაცემებთან ერთად უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
   - ☐ პირის სახელი, გვარი;
   - ☐ პირადინომერი;
   - ☐ დაბადებისთარიღი, სქესი, მოქალაქეობა;
   - ☐ განათლება (დაწესებულება, სწავლის პერიოდი, მინიჭებული კვალიფიკაცია);
   - ☐ ინფორმაციააკადემიურიხარისხისშესახებ (არსებობის შემთხვევაში);
   - ☐ პროფესიითმუშაობისგამოცდილება (წლები);

- საკონტაქტოინფორმაცია (ფაქტობრივი/იურიდიულიმისამართი, ელექტრონულიფოსტა, ტელეფონი);
- სოციალურადდაუცველიპირისსტატუსი, ლტოლვილის, ჰუმანიტარულისტატუსისდათავშესაფრისმაძიებლისსტატუსი, საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანიძულებითგადაადგილებულიპირის – დევნილისსტატუსი (ასეთისარსებობისშემთხვევაში).

6. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს საკითხის განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას, როგორც წესი, ფაკულტეტის საბჭოზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პირის მიერ ხელმოწერილი წინარე ხელშეკრულება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმთანერთად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.
7. იმ შემთხვევაშითუკიამწესითვერმოხერხდაშესაბამისიკვალიფიკაციისპირებისშერჩევა, მასწავლებელთაშესარჩევადცხადდებაღიაკონკურსი.
8. კონკურსის გამოცხადება ხდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით.
9. ბრძანებაში მიეთითება:
   - კონკურსის გამოცხადების წესი;
   - განცხადებების შემოტანის ვადა;
   - წარმოსადგენი საბუთების ნუსხა;
   - საკონკურსო პირობები;
   - კონკურსის ჩატარების, გადაწყვეტილების მიღების, შედეგების დამტკიცების, გამოქვეყნებისა და გასაჩივრების წესი და სხვ.
10. რექტორის ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსანტის შეფასებისას ითვალისწინებს პირის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას, კომპეტენციებს და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან, აგრეთვე კონკურსანტთან გასაუბრებისა და მის მიერ ჩატარებული საჩვენებელი მეცადინეობის შედეგებს.
11. კონკურსში გამარჯვებულ პირთან/პირებთან გაფორმდება წინარე ხელშეკრულებაუნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით (დანართი 1).
12. წინარე ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ საბჭოში განხილვამდე.
13. კანონმდებლობით დადგენილი წესებით პროფესიულისაგანმანთლებლოპროგრამის დამტკიცებისა და პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში, მათთვისსასწავლოპროცესისშეუფერხებლად წარმართვისმიზნით, ამწესითშერჩეულმასწავლებლებსრექტორისბრძანებითგანესაზღვრებათსამუშაოდატვირთვა.
14. მასწავლებელთასამუშაოდატვირთვისგანსაზღვრისშესახებრექტორისბრძანებაგამოიცემა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელსაც დართული უნდა ჰქონდეს სამუშაო დატვირთვის განაწილების ფურცელი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით (დანართი 2). დატვირთვის განაწილების ფურცელს ხელს უნდა აწერდნენ ფაკულტეტის დეკანი, მოდულის ხელმძღვანელი და მასწავლებელი.
15. იმშემთხვევაში,

თუკიამწესითშერჩეულიპროფესიულიგანათლებისმასწავლებელიუარსგანაცხადებსმოდულისწარმართვაზე, ფაკულტეტის დეკანისსამსახურებრივიბარათისსაფუძველზე, შესაძლებელიასხვასაუკეთესომონაცემებისმქონესპეციალისტიანკონკურსშიმონაწილესა

უკეთესოშედეგისმქონესხვაკონკურსანტიიქნესმოწვეულიმასწავლებლადანგამოცხადდე სხელახალიკონკურსი.

მუხლი2. მასწავლებლისსამუშაოდატვირთვა

1. მასწავლებლისსამუშაოდატვირთვისგანსაზღვრისშესახებრექტორისბრძანებითგანისაზღ ვრებაგანსახორციელებელიმოდული (მისიკომპონენტი), შესასრულებელისამუშაოსსახე (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული/პრაქტიკა), სამუშაოდატვირთვისმოცულობასაათებში, სამუშაოსშესრულებისპერიოდი, სამუშაოსშესრულებისადგილიდაშრომითიურთიერთობისმიზნებისათვისსხვასაჭიროინ ფორმაცია.
2. მასწავლებლისსამუშაოდატვირთვაში, გარდარექტორისბრძანებითგანსაზღვრულიდასასწავლოგეგმების/ცხრილებისშესაბამისა დჩასატარებელიმეცადინეობებისა(ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული/პრაქტიკა), შედის:
   - □ სტუდენტთაშეფასებისინსტრუმენტებისშექმნა;
   - □ სტუდენტთანაშრომებისგასწორება;
   - □ სტუდენტისსწავლისშედეგებისდამადასტურებელიდოკუმენტებისშენახვააკადემ იურ დეპარტამენტში მოქმედი წესით;
   - □ მოდულისგანხორციელებისმიზნებისათვისაკადემიური დეპარამენტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისმითითებების/სამართლებრივიაქტებისმოთხოვნებისშესრულებ ა;
   - □ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზნით უნივერსიტეტის მიერორგანიზებულიკვალიფიკაციის ამაღლების კურსებისა და პროფესიულიგანვითარებისტრენინგების გავლა. აღნიშნულის შესახებ აკადემიური დეპარტამენტისათვის ინფორმაციის მიწოდება.
3. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ დეკანის მოხსენებითი ბარათის მიხედვით გამოსული რექტორის ბრძანების საფუძველზე.
4. მასწავლებლის შრომის ანაზღაურების საათობრივი ნიხრი დგინდება აკადემიური საბჭოს მიერ და მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ.

მუხლი3. მასწავლებელთანშრომითიურთიერთობისშეწყვეტა

1. მასწავლებელთანშრომითიურთიერთობისშეწყვეტისსაფუძველი შეიძლებაგახდეს:
   - □ ხელშეკრულების მოთხოვნების, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და/ან ეთიკის ნორმების დარღვევა;
   - □ შესაბამისი პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამის/პროგრამის მოდულისანმოდულისკომპონენტისგაუქმება;
   - □ კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.

დანართი 1

წინარე ხელშეკრულება
შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

ქ. თბილისი „ “ “ 20 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორი არჩილ ფრანგიშვილი (შემდგომში „დამსაქმებელი”) და მეორე მხრივ, მოქალაქე (შემდგომში „დასაქმებული”),

დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დასაქმებელი იღებს ვალდებულებას, ---------- ფაკულტეტის ----------პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ჩარიცხვის შემთხვევაში განახორციელოს მოვალეობები ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. დასაქმებული კისრულობს ვალდებულებას, დადოს შრომითი ხელშეკრულება (შემდგომში „ძირითადი ხელშეკრულება) დამსაქმებელთან და შეასრულოს ძირითადი ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული სამუ-შაო იმ რეჟიმით, მოცულობითა და გრაფიკით, რომელიც განსაზღვრული იქნება ძირითადი ხელშეკრულებით.

1.3. დამსაქმებული იღებს ვალდებულებას საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის გავლის შემდეგ შესაბამისი საათობრივი დატვირთვის არსებობის შემთხვევაში გააფორმოს ძირითადი ხელშეკრულება.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს დამსაქმებელს წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

2.1.2. უარი განაცხადოს იმ ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუ იგი ითვალისწინებს ისეთ სამუშაოს, დავალებას ან მითითების შესრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

2.2.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება;

2.2.2. ძირითადი ხელშეკრულების დადებამდე წერილობით შეატყობინოს დამსაქმებელს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ;

2.2.3. დასაქმებულის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის შესახებ და შეუფერხებლად წარუდგინოს ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები;

2.3. **დამსაქმებელს უფლება აქვს:**

2.3.1. მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულების დაცვა;

2.3.2. უარი განაცხადოს ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის გაუვლელობის ან შესაბამისი საათობრივი დატვირთვის არარსებობის შემთხვევაში;

2.4. **დამსაქმებელი ვალდებულია:**

2.4.1. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულება;

2.4.2. ამ ხელშეკრულების 2.3.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დასაქმებულს და განუმარტოს ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

4. შეთანხმება შრომის პირობების შესახებ

4.1 დასაქმებულის შრომის ანაზღაურება და სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება დამსაქმებულის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები;

5.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით;

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ;

5.4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მისი პირობების შეცვლა დასაშვებია კანონის ან მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

5.5. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება დამსაქმებელთან, მეორე დასაქმებულთან;
ხელშეკრულებაძალაშიაორივემხარისხელმოწერისდღიდან.

6. მხარეთა რეკვიზიტები

დასაქმებული _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

პირადობის მოწმობა: _____

დამსაქმებელი: რექტორი ა. ფრანგიშვილი	დასაქმებული: მოქალაქე
/ხელმოწერა/	/ხელმოწერა/

საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტიდანართი2

20--- / 20--- სასწავლოწელი

პროფესიულიგანათლებისმასწავლებელთასამუშაოდატვირთვა

---------- ფაკულტეტი

პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისდასახელება---------- ---------- დონე

მასწავლებლისსახელოდ გვარი	მოდულისდასახელება	კრედიტი	ჯგუფი	კვირეებისრაოდენობა	მოდულისდაწყება	ლექცია	პრაქტიკული/სემინარი	ლაბორატორია	პრაქტიკა	მოდულისდასრულება	სულ	შენიშვნა
		ჯამი										

გავეცანი ----------

დეკანი ----------

მოდულისხელმძღვანელი ----------